

საიდ. №75008/03

IR 1182960

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა №11-03/15

საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნულ ცენტრ „საქპატენტთან“ არსებული სააპელაციო პალატის კოლეგიამ შემდეგი შემადგენლობით: ს. მუჯირი (თავმჯდომარე), ქ. კილაძე, ა. დალაქიშვილი, თ. ჯაფარიძის მდივნობით განიხილა კომპანიის „ს.კ. იონ მოს ს.რ.ლ.“ (S.C. ION MOS S.R.L.) სააპელაციო საჩივარი (საიდ. №11-03/15), რომლითაც მოითხოვება სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის „საქპატენტის“ სასაქონლო ნიშნებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების დეპარტამენტის უფროსის 2014 წლის 28 ოქტომბრის „საერთაშორისო სასაქონლო ნიშნისათვის დაცვის მინიჭების შესახებ საქონლისა და მომსახურების განცხადებული ჩამონათვალის ნაწილის მიმართ“ №2758/03 ბრძანების ბათილად ცნობა და საერთაშორისო სასაქონლო ნიშნისათვის „EMERSON TECHNIK“ (საიდ. №75008/03 IR 1182960) დაცვის მინიჭება საქართველოში საქონლის სრული განცხადებული ჩამონათვალის მიმართ (მე-11 კლასი).

საექპატენტის სასაქონლო ნიშნებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების დეპარტამენტის უფროსის 2014 წლის 28 ოქტომბრის №2758/03 ბრძანებაზე თანდართული ექსპერტიზის დასკვნის თანახმად, სარეგისტრაციოდ წარმოდგენილი სასაქონლო ნიშანი „EMERSON TECHNIK“ მსგავსია კომპანიის „EMERSON RADIO CORPORATION“ სახელზე მე-11 კლასის საქონლისათვის "მიკროტალღური ღუმელები, მაცივრები" "საექპატენტში" რეგისტრირებული ნიშნებისა „Emerson" (რეგისტრაციის თარიღი: 03/05/1995, რეგისტრაციის N616) და „EMERSON" (რეგისტრაციის თარიღი: 26/03/1997, რეგისტრაციის N4801). ექსპერტიზის დასკვნის თანახმად, სარეგისტრაციოდ წარმოდგენილი ნიშნის ძირითადი ნაწილი „EMERSON" ფონეტიკურად იდენტურია დაპირისპირებული ნიშნებისა, ვიზუალური განსხვავება კი არ ანიჭებს მას საკმარის განმასხვავებლობას, რაც ქმნის ნიშნებს შორის აღრევისა და შესაბამისად, მომხმარებლის შეცდომაში შეყვანის შესაძლებლობას. დაპირისპირებული და სარეგისტრაციოდ წარმოდგენილი ნიშნების საქონლის ჩამონათვალიც მსგავსია, ვინაიდან ეკუთვნის კვების ინდუსტრიას. აღნიშნულის გამო, „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „გ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, განცხადებულ საერთაშორისო სასაქონლო ნიშანს ნაწილობრივ უარი ეთქვა დაცვის მინიჭებაზე, კერძოდ მე-11 კლასის საქონლის ნაწილში.

კოლეგიამ განიხილა სააპელაციო საჩივარი, ექსპერტიზის მასალები, წარმოდგენილი დოკუმენტები და მოისმინა რა მხარის ახსნა-განმარტებები

გ ა მ ო ა რ კ ვ ი ა :

აპელანტი კომპანია „ს.კ. იონ მოს ს.რ.ლ.“ (S.C. ION MOS S.R.L.) არ ეთანხმება გასაჩივრებულ ბრძანებას შემდეგ გარემოებათა გამო:

აპელანტის განმარტებით, ნიშანი განცხადებული იყო მე-11 კლასის შემდეგი საქონლისათვის: „საკვების თბური დამუშავების და შესაბოლი აპარატები, კლიმატიზაციის დანადგარები კვების მრეწველობისათვის, ყინულის დასამზადებელი მანქანები“ (Cooking and smoking chambers for food industry, climatisation installations for food industry, machines for producing ice). განცხადებულ

ნიშანს დაუპირისპირდა ეროვნული პროცედურით რეგისტრირებული ნიშანი N616 (მე-11 კლასში „მიკროტალღური ღუმელები, მაცივრები“). აპელანტის პოზიციით, იგი სადაოდ არ ხდის განცხადებული და დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნების მსგავსებას და მე-11 კლასის საქონლის: „დანადგარები ყინულის წარმოებისათვის“ (machines for producing ice) მსგავსებას დაპირისპირებული ნიშნის საქონელთან „მაცივრები“. აპელანტის პოზიციით, ექსპერტიზას არ უნდა ეთქვა უარი მე-11 კლასში შემავალი საქონლისათვის: „საკვების თბური დამუშავების და შესაბოლო აპარატები, კლიმატიზაციის დანადგარები კვების მრეწველობისათვის“ (Cooking and smoking chambers for food industry, climatisation installations for food industry), რადგან ეს საქონელი (ტექნოლოგიური მოწყობილობანი) აბსოლუტურად განსხვავებულია დაპირისპირებული ნიშნების საქონლისაგან: „მიკროტალღური ღუმელები“, რომლებიც საყოფაცხოვრებო დანიშნულების საქონელს წარმოადგენს და ამდენად, მათი მომხმარებელიც სრულიად სხვადასხვაა, შესაბამისად აღრევას ადგილი ვერ ექნება. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, აპელანტი ითხოვს საქპატენტის სასაქონლო ნიშნებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების დეპარტამენტის უფროსის 2014 წლის 28 ოქტომბრის „საერთაშორისო სასაქონლო ნიშნისათვის დაცვის მინიჭების შესახებ საქონლისა და მომსახურების განცხადებული ჩამონათვალის ნაწილის მიმართ“ №2758/03 ბრძანების ბათილად ცნობას და საერთაშორისო სასაქონლო ნიშნისათვის „EMERSON TECHNIK“ (საიდ. №75008/03 IR 1182960) დაცვის მინიჭებას საქართველოში საქონლის სრული განცხადებული ჩამონათვალის მიმართ.

კოლეგიამ განიხილა მხარის არგუმენტაცია, საქმეში არსებული მასალები და მიიჩნია, რომ სააპელაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

„სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად, სასაქონლო ნიშანი არ რეგისტრირდება, თუ იგი „მესამე პირის სახელზე რეგისტრირებული, უფრო ადრინდელი პრიორიტეტის მქონე სასაქონლო ნიშნის მსგავსია, ხოლო

საქონელი – იდენტური ან იმდენად მსგავსი, რომ ჩნდება ამ სასაქონლო ნიშნების აღრევის, მათ შორის, ასოცირების შედეგად აღრევის შესაძლებლობა”.

სააპელაციო პალატის კოლეგიას მიაჩნია, რომ სარეგისტრაციოდ წარმოდგენილი სასაქონლო ნიშანი „EMERSON TECHNIK“ (საიდ. №75008/03 IR 1182960) და დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნები „Emerson“ (რეგისტრაციის რეგისტრაციის N616) და „EMERSON“ (რეგისტრაციის N4801) წარმოადგენს აღრევამდე მსგავს სასაქონლო ნიშნებს, ვინაიდან ნიშნები მსგავსია, როგორც ვიზუალურად ისე ფონეტიკურად. ნიშნები მსგავსია ვიზუალურად, რადგან როგორც განცხადებული, ისე დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნები შესრულებულია სტანდარტული ლათინური ასოებით. მართალია, განცხადებული სასაქონლო ნიშანი კომბინირებულია და სიტყვიერ ჩანაწერთან ერთად შეიცავს გამოსახულებას, კერძოდ მისი სიტყვიერი ნაწილის „EMERSON“, „E“ასო ჩასმულია ოთხკუთხედში, მაგრამ აღნიშნული ვერ სძენს ნიშანს იმ დონის განსხვავებას, რომ არ მოხდეს სასაქონლო ნიშნების აღრევა და მომხმარებლის შეცდომაში შეყვანა. დაპირისპირებული სასაქონლო ნიშანი „Emerson“ (რეგ N616), რომელიც ასევე, კომბინირებულია და შეიცავს გამოსახულებას, მისი გამოსახულებითი ნაწილი ვერც მას სძენს განმასხვავებლობას, ვინაიდან სამივე ნიშანში დომინანტი ელემენტია სიტყვიერი ნაწილი „EMERSON“ და სწორედ ამ სიტყვაზე მოდის განმასხვავებლობის ძირითადი დატვირთვა. ამასთან, განცხადებული სასაქონლო ნიშანი მთლიანად მოიცავს დაპირისპირებულ სასაქონლო ნიშანს. განცხადებულ ნიშანში მეორე სიტყვა „TECHNIK“, სუსტი დაცვის ელემენტია, ვინაიდან ირიბად მიანიშნებს საქონლის სახეობაზე, რადგან მე-11 კლასის საქონელი მოიცავს ტექნიკას.

დაპირისპირებული ნიშნები აღრევამდე მსგავსია ფონეტიკურად, ვინაიდან ქართველი მომხმარებლის მიერ განცხადებული ნიშანი გამოითქმის, როგორც „ემერსონ ტექნიკ“, ხოლო დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნები კი როგორც - „ემერსონ“.

კოლეგია ვერ გაიზიარებს აპელანტის პოზიციას ნიშნების მე-11 კლასის საქონლის განსხვავებაზე, რადგან კოლეგიის აზრით, სასაქონლო ნიშნებს შორის

მსგავსების დადგენისას მხედველობაში მიიღება, ასევე დაპირისპირებული ნიშნების საქონლის მსგავსება. განცხადებული სასაქონლო ნიშნის მე-11 კლასის საქონლის ჩამონათვალი: „საკვების თბური დამუშავების და შესაბოლო აპარატები, კლიმატიზაციის დანადგარები კვების მრეწველობისათვის“ (Cooking and smoking chambers for food industry, climatisation installations for food industry) თავისი დანიშნულებით მსგავსია დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნების მე-11 კლასის საქონლისა: „მიკროტალღური ღუმელები, მაცივრები“, ვინაიდან ორივე ნიშნის საქონელი გამოიყენება ერთი და იგივე დანიშნულებით კვების ინდუსტრიაში.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო პალატის კოლეგიას მიაჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში არსებობს „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული საერთაშორისო სასაქონლო ნიშნისათვის „EMERSON TECHNIK“ (საიდ. №75008/03 IR 1182960) დაცვის მინიჭებაზე უარის თქმის საფუძველი.

სააპელაციო პალატის კოლეგიამ იხელმძღვანელა „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-16 მუხლით, სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის – საქპატენტის თავმჯდომარის 2011 წლის 18 მარტის №02 ბრძანებით დამტკიცებული საქპატენტთან არსებული სააპელაციო პალატის დებულების მე-15 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით და

#### გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

1. კომპანიის „ს.კ. იონ მოს ს.რ.ლ.“ (S.C. ION MOS S.R.L.) სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.
2. ძალაში დარჩეს სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის – „საქპატენტის“ სასაქონლო ნიშნებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების დეპარტამენტის უფროსის 2014 წლის 28 ოქტომბრის „საერთაშორისო სასაქონლო ნიშნისათვის დაცვის მინიჭების შესახებ საქონლისა

და მომსახურების განცხადებული ჩამონათვალის ნაწილის მიმართ“ №2758/03 ბრძანება.

3. წინამდებარე გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს მცხეთის რაიონული სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. მცხეთა, სამხედროს ქ. №17) გადაწყვეტილების გაცნობის/ჩაბარების დღიდან ერთი თვის ვადაში.

კოლეგიის თავმჯდომარე:

ს. მუჯირი

წევრები:

ქ. კილაძე

ა. დალაქიშვილი